მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ლონდონში ქართული ფილმების რიგით მეხუთე ფესტივალი გაიმართა

1-8 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ლონდონში არსებულ პრესტიჟულ კინოთეატრ - Regent Street Cinema-ში ლონდონის ქართული ფილმების რიგით მეხუთე ფესტივალი - „კინოში ასახული ცხოვრება“ (Life Through Cinema) გაიმართა. ფესტივალის ერთ-ერთი მხარდამჭერი ბრიტანულ-ქართული საზოგადოება იყო.

ფესტივალის გახსნაში მონაწილეობა მიიღო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თამარ ბერუჩაშვილმა. კინოფესტივალის ფარგლებში, ბრიტანელ მაყურებელს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა თანამედროვე ქართული კინოს მხატვრულ, დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ქართული კინო კლასიკისა და ძველი შედევრების აღდგენილ ნიმუშებს. ფესტივალის ფარგლებში შედგა რამდენიმე მსოფლიო და ბრიტანული პრემიერა. ფილმების ჩვენების გარდა, კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა თემატური დისკუსიები ლონდონში მყოფი ცნობილი ქართველი კინორეჟისორებისა და მსახიობების მონაწილეობით, წარმოდგენილი იყო გამოფენა - „ქართული კინოაფიშები ეროვნული არქივიდან“. გარდა ამისა, ცალკეული ღონისძიებები მიეძღვნა ქართულ ღვინოსა და სამზარეულოს, ქართული ხალხური სიმღერების თანხლებით.

„მეოთხედი საუკუნე ემიგრაციაში - 1921 წელს უცხოეთში გატანილი საქართველოს განძეულის საერთაშორისო მნიშვნელობა“

3 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში, გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „მეოთხედი საუკუნე ემიგრაციაში - 1921 წელს უცხოეთში გატანილი საქართველოს განძეულის საერთაშორისო მნიშვნელობა“. ლექცია წაიკითხა ავთანდილ მიქაბერიძემ, საბერძნეთში მოღვაწე მეცნიერმა, რომელმაც ისაუბრა 1921 წელს საფრანგეთში გატანილ და 1945 წელს საქართველოში დაბრუნებულ ეროვნულ განძეულზე. ასევე, ქართული განძის კოლექციაში არსებულ არტეფაქტებსა და მათი შექმნის მოტივაციების ისტორიულ-კულტუროლოგიურ გარემოებებზე.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ჰოლანდიაში მცხოვრებმა ქართველებმა კუნძულ ტექსელზე ქართველი ჯარისკაცების საძმო სასაფლაო მოინახულეს

4 მაისს, კუნძულ ტექსელზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საძმო სასაფლაო ჰოლანდიაში მცხოვრებმა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებმა ტრადიციულად, მოინახულეს. 73 წლის წინანდელ დრამატულ ისტორიას სხვადასხვა ვერსია გააჩნია, თუმცა 530 დაღუპულმა გმირმა სამუდამო განსასვენებელი ტექსელზე ჰპოვა. მათი სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა, მეუფე დოსითეოსმა აღავლინა. ტექსელის ქართველი ჯარისკაცების ძმათა საფლავი ჰოლანდიის "ქართული კულტურის ცენტრის" და კომპანიის Tika Tours დამფუძნებელმა თიკა სვანიძე-ვენკომ და ჰააგაში მდებარე ქართული რესტორნის, „სოხუმი“ მფლობელმა, იზოლდა კვიციანმა შეამკეს.

ოფიციალურ ცერემონიალს ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმოამდგენლები და კუნძულ ტექსელის ბურგომისტრი დაესწრნენ. კუნძულ ტექსელს ბელგიასა და გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტებიც ეწვივნენ და პატივი მიაგეს ქართველი ჯარისკაცების ხსოვნას. პოეტმა მერი პაპუნაშვილმა ჯარისკაცების საფლავზე ლაშა ჩუბინიძის ლექსი „ქართველო ჩემო, გახსოვს ვინა ხარ?“ წაიკითხა.

ქართული სათვისტომო „სამშობლოს“ 25 წლის იუბილე ქ. რიგაში

5 მაისს, ქ. რიგაში გაიმართა ქართული სათვისტომო „სამშობლოს“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ ლატვიაში მცხოვრები თანამემამულეები, დიასპორული ორგანიზაციის წევრები, მოწვეული სტუმრები და საქართველოს საელჩოს თანამშრომლები. ღონისძიების დასაწყისში, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საზოგადოება „სამშობლოს“ თავჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ მძინარიშვილმა, შემდგომ კი სიტყვა გადაეცა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ბატონ თეიმურაზ ჯანჯალიას.

ელჩმა ისაუბრა ლატვიის და საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე და ქართული დიასპორის წარმომადგენლებზე, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში ამ ორ სახელმწიფოს შორის. ლატვიაში მცხოვრებმა ქართველებმა ღონისძიებაზე წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები. ქართული და ლატვიური სიმღერებით წარდგნენ მომღერლები ცირა თოლორდავა, რუსუდან ბასარია და იმედი კოკაია. ღონისძიების ფარგლებში საზოგადოებას მისალოცი სიტყვით მიმართეს მეგობარი ქვეყნების დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ღონისძიების დასასრულს გაიმართა საზეიმო მიღება.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

„საქართველოს კულტურის დღე“ ქ. ხერსონში

5 მაისს, უკრაინაში, ხერსონის ოლქში, ქართული ნაციონალურ-კულტურული გაერთიანება „ილორის“ (თავჯდომარე ელიკო მარკელია) ორგანიზებითა და ხერსონის საქალაქო საბჭოსა და ქალაქის მერიის მხარდაჭერით გაიმართა „საქართველოს კულტურის დღე“, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. ხერსონში საქართველოს კულტურის დღის საზეიმო გახსნაზე ქ. ოდესაში საქართველოს კონსულმა, ბატონებმა თორნიკე ბერეკაშვილმა, ვლადიმერ ნიკოლაენკომ და ქალბატონმა ელიკო მარკელიამ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ოდესის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ივერიას“ ხელმძღვანელის ქალბატონ შორენა გეგეშიძისა და ნიკოლაევის ოლქში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ქართული ნაციონალურ-კულტურული გაერთიანება „იბერიას“ თავმჯდომარის ბატონ ვალერი ეხვაიას ხელმძღვანელობით. საზეიმო ღონისძიების პროგრამა მოიცავდა: უკრაინის სახალხო-სამხატვრო კოლექტივის, ოდესის ქართულ ნაციონალურ-კულტურული ანსამბლის „САКАРТВЕЛО“-ს, ხერსონის ოლქის პოლიციის მთავარი სამმართველოს სასულე ორკესტრის, სასცენო-სპორტული ცეკვის „ВИВА-ДАНСЕР“-ის ჯგუფის, „ტატიანა ტიხომიროვის სიმღერის თეატრის“, ქართველ და უკრაინელ ვოკალისტთა გამოსვლებს, ასევე, ლილია გრიჩულევიჩის ფოტო-გამოფენას სახელწოდებით - „საქართველო უკრაინელების თვალით“ და „ჩემი თუშეთი“, ხერსონის მოზარდ სპორტსმენთა საჩვენებელ გამოსვლას მდინარე დნეპრის აკვატორიაში - ჯომარდობა, იალქნიანი ნავების მართვა და სხვა.

„დიონისოს“ საბავშვო დასის სპექტაკლი ქ. ათენში

6 მაისს, ორგანიზაცია ,,დიონისოს'' საბავშვო დასმა ქართველ ემიგრანტებს გიორგობა მიულოცა აკაკი წერეთლის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლით „ღამურა“. პატარა მსახიობებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე. "დიონისოს" პატარა დასის მსახიობები დიდი გამოცდისთვის ემზადებიან - ისინი ამ სპექტაკლით მოემგზავრებიან საქართველოში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ქართული ემიგრაციის სახელით მიიღებენ მონაწილეობას.

საზეიმო ღონისძიება პარიზის ტრიუმფალურ თაღთან

6 მაისს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, ტრიუმფალურ თაღთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მარადიული ხსოვნის ცეცხლის ანთების და თაღის გვირგვინებით შემკობის სადღესასწაულო ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ზვიად გონაძემ.

ფრანგული პოლიციის მიერ შესრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“ ქართულმა გუნდებმა შეასრულეს.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საღამოს, პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში, არქიმანდრიტმა არჩილმა (დავრიშაშვილი) და პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონმა (კანდელაკი) ერთობლივი პარაკლისი გადაიხადეს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენიებლად.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილე ქ. ვაშინგტონში

9 მაისს, ვაშინგტონში, აშშ-ში მოქმედმა „ქართულმა ასოციაციამ“ / „Georgian Association in the USA”, ლევან მიქელაძის ფონდთან და აშშ-ში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრთან ერთად, უმასპინძლა კონფერენციას - "საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილე: საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი" – „Centennial of the First Georgian Republic: Past, Present and Future of Georgia“. ელჩმა დავით ბაქრაძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სტუმრებს.

ასევე, მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ რეჯებ ჟორდანია, საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარის შვილი, რომელმაც მამის - ნოე ჟორდანიას საქმიანობაზე და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე ისაუბრა; ელიზაბეტ კვიტაშვილი, „აშშ-ში საქართველოს ასოციაციის“ პრეზიდენტი; თინა მიქელაძე, „ლევან მიქელაძის ფონდის“ პრეზიდენტი და ბრიჯიტ ბრინკი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე. კონფერენცია ოთხ ძირითად პანელად იყო დაყოფილი.

პირველი პანელი მიეძღვნა საქართველოს ისტორიას - ამერიკელმა, ქართველმცოდნემ, ისტორიკოსმა სტეფენ ჯონსმა, ქართველ აკადემიკოსებთან ბექა კობახიძესთან და გრიგოლ გეგელიასთან ერთად, განიხილეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების საინტერესო დეტალები და, ასევე, პირველი რესპუბლიკის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. მეორე პანელზე, რომელიც საქართველოს განვითარებას 1991 წლიდან - 2018 წლამდე, მიეძღვნა, სიტვით გამოვიდნენ ამერიკელი მკვლევარები და საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე.

მესამე პანელზე განიხილეს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები - დესპანმა გიორგი ციკოლიამ ხაზი გაუსვა საქართველოს ეკონომიკურ წარმატებას და ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე. დასკვნით პანელზე, "დასავლეთის სტრატეგია საქართველოს მიმართ," სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ის ყოფილი ელჩები საქართველოში. კონფერენციას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ქართველი თანამემამულეებიც ესწრებოდნენ.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული კულტურისადმი მიძღვნილი საღამო ქ. ათენში

10 მაისს, ათენის ანო ამბელოკიპის კულტურის ცენტრში, საქართველოსა და მისი კულტურისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული კულტურის პრეზენტაცია, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტების მონაწილეობით. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგა ავთანდილ მიქაბერიძე, „ათენის ქართული ინსტიტუტის“ დირექტორი და კულტურის ცენტრის დამფუძნებელი. დასასრულს, გაიმართა მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატის, რეჟისორ მარიამ ხაჭვანის ფილმის „დედე“ საჯარო ჩვენება.

პირველი „საშაბათო სკოლის“ გახსნა ისრაელში და „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი ზეიმი

12 მაისს, ისრაელის ქართული დიასპორული ორგანიზაცია "მამულის" ინიციატივით, ისრაელში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს საპატრიარქოს ხელშეწყობით, ქ. ლოდის "ქართულ სახლში" გაიხსნა „საშაბათო სკოლა“. ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ქართველი ემიგრანტები და მათი შვილები, რომლებიც შეისწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას. სტუმრების წინაშე, სამომავლო გეგმებითა და პერსპექტივებით, წარსდგნენ "მამულის" მმართველი საბჭოს წევრები. ისრაელში პირველი ქართული „საშაბათო სკოლის“ გახსნის პატივი წილად ხვდათ საქართველოს ელჩის მეუღლეს, თამარ კალანდაძეს და "მამულის" ხელმძღვანელს ირაკლი კილაძეს. ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს, საქართველოს საელჩოს, საპატრიარქოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ასევე, დიასპორულმა ცენტრმა - „მამული“ და ქართული ხელოვნების ცენტრმა, ქ. ბათ-იამში, დედაენისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს, რომელსაც ქართველ ემიგრანტებთან ერთად ესწრებოდნენ ქართველი ებრაელები. გამომსვლელებმა ენის საკითხებთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო ფაქტზე ისაუბრეს. ქართველმა ებრაელებმა ქართულ ენაზე დაწერილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს. დიასპორული ორგანიზაცია "მამულის" ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ და ქართული ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელმა მარინე გელაშვილმა ქართველ ებრაელებს, ქართული ენის ქომაგობისთვის, სამახსოვრო ჯილდოები გადასცეს, ხოლო ლია კრიხელს მადლობა გადაუხადეს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

საიუბილეო მიღება პარიზში

13 მაისს, ქ. პარიზში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ტრადიციული საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ „გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტები, ქართველი მუსიკოსები და სხვა სტუმრები. ღონისძიების ორგანიზატორებმა, ანსამბლ „თამარიონთან“ ერთად, მადლობა გადაუხადეს ზეიმის მონაწილეებს და სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე თანამემამულეებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია ლევილის ქართულ მამულში

16 მაისს, საფრანგეთში, საქართველოს საელჩოსა და ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლობით, ლევილის ქართულ მამულში, შატოს სალონში გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ბოლო პერიოდში გამოცემული წიგნების პრეზენტაცია. წიგნები თავად ავტორებმა, პროფესორებმა ოთარ ჯანელიძემ, მალხაზ მაცაბერიძემ და რუსუდან დაუშვილმა წარადგინეს. ისტორიკოსებმა საკუთარი წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი ლევილის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ქ. ბრიუსელში

17 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ფლანდრიის პარლამენტმა ბელგიაში მოღვაწე ქართველი მოქანდაკეების დავით ხმალაძის და დავით ნათიძის გამოფენას უმასპინძლა. გამოფენა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბელგიის სამეფოში და საქართველოს წარმომადგენელმა ევროკავშირში, ნატალი საბანაძემ გახსნა. სიტყვით გამოსვლისას, ელჩმა ხაზი გაუსვა ზემოაღნიშნული მოქანდაკეების ღვაწლს ბელგია-საქართველოს კულტურული ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. მოქანდაკეები დავით ნათიძე და დავით ხმალაძე ბელგიაში ოც წელზე მეტია ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. მათ ბელგიის არაერთ მონუმენტზე და ისტორიულ ძეგლზე აქვთ ნამუშევარი.

ქ. ქუთაისის მერიაში გერმანიის დელეგაციას უმასპინძლეს

18 მაისს, ბრანდენბურგ - საქართველოს საზოგადოებისა და მისი პრეზიდენტის - პავლე შპეტიშვილის ორგანიზებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის პარლამენტის წევრები, პარლამენტის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ქუთაისის მერიას სტუმრობდნენ. დელეგაციას ქუთაისის მერის მოადგილემ, ნინო თვალთვაძემ და ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ტურიზმისა და განათლების კუთხით. საუბარი შეეხო სამომავლო პარტნიორობის საკითხებსაც. ქუთაისის მერიის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს ქუთაისის ტურისტული პოტენციალი და შესაძლებლობები, განიხილეს ამ კუთხით დაგეგმილი სიახლეები. შეხვედრა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ურთიერთობა სამომავლოდაც გაგრძელდება.

ტრადიციული მრავალენოვანი ფესტივალი ქ. თესალონიკში

18-20 მაისს, ქ. თესალონიკის მერიის ორგანიზებით, გაიმართა ტრადიციული ყოველწლიური ფესტივალი - „მრავალენოვანი ქალაქი თესალონიკი," რომლის მიზანს წარმოადგენს თესალონიკში მცხოვრები სხვადასხვა ერების ენის, კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენა. ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ: თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველო" (ხელმძღვანელი ელგუჯა მინაძე) და მასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „საქართველო" (სამხატვრო ხელმძღვანელი რუსუდან საბაძე), საზოგადოებრივი ჯგუფი „თესალონიკის ქართველობა" და მასთან არსებული „ქართველ ქალთა ასოციაცია," თესალონიკის კულტურულ-შემოქმედებითი ანსამბლი „ნერაიდა".

დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ზაირა გარდავა, ხოლო ქართული ენის განყოფილების - ნათია მაისურაძე, რომელმაც წარმოადგინა თემატური ვიდეო-რგოლები ქართული დამწერლობისა და ასევე, ფიროსმანის შემოქმედების შესახებ, ხოლო ქართული ენის სახელოსნოში, მოაწყო ქართული ენის გაკვეთილი სკოლის მოსწავლეებისათვის. მოეწყო ქართველი მხატვრების - ნინო ონიანისა და ქეთი კაციტაძის ნახატების, ასევე, მარიეტა ხაჭაპურიძის თექაზე შესრულებული ნამუშევრებისა და თინათინ შავდათუაშვილის ნაქარგების გამოფენები. შესრულდა ქართული ცეკვები და სიმღერები. ქართულ პავილიონში, რომელიც მთელი ფესტივალის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იყო, გამოიფინა საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბროშურები და საქართველოს რუკები.

ეროვნულ - კულტურული ავტონომიის იუბილე როსტოვში

19 მაისს, ქ. როსტოვში, მივლინებით იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ვიცე-კონსული ტარიელ ყიფშიძე, რომელიც დაესწრო როსტოვის რეგიონული ქართული ეროვნულ - კულტურული ავტონომიის „ვარძია" 5 წლის იუბილეს და „დავითობის" დღესასწაულს. საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქართული ეროვნულ - კულტურული ავტონომიის პრეზიდენტმა ბესარიონ მესხმა. ღონისძიების დასასრულს, გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როსტოვში მოქმედმა სხვადასხვა ანსამბლებმა და მომღერლებმა, მათ შორის - ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლებმა „იმედმა" და „კოლხიდამ". „ვარძიას" ხელშეწყობით, 20 მაისს, როსტოვის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში, გაიმართა დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა, სადაც განიხილეს სხვადასხვა აქტუალური პრობლემები. საქართველოს მოქალაქეებს, საკონსულო საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიციური კონსულტაცია გაეწიათ. ეროვნულ - კულტურული ავტონომია „ვარძია" გეგმავს თანამშრომლობის გაღრმავებას თანამემამულეებთან და საქართველოს ინტერესების სექციასთან.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქ. ათენში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

19 მაისს, ათენში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა, რომელიც ადგილობრივი დიასპორული ორგანიზაციის, სტუდენტთა და ახალგაზრდობის ბერძნულ-ქართული ასოციაციის ძალისხმევით მოეწყო. გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო 1918-1921 წწ. ისტორიული მოვლენების ამსახველი ფოტო-მასალა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგენგეგო და სრულუფლებიანი ელჩი იოსებ ნანობაშვილი და ათენში მცხოვრები თანამემამულეები.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების სამედიცინო კონფერენცია ქ. თბილისში

19 მაისს, თბილისში რიგით მეხუთე საერთაშირისო სამედიცინო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ქართულ ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციამ და „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა" გამართეს. კონფერენცია მსოფლიოს უახლეს სამედიცინო მიღწევებს, რთული შემთხვევების იდენტიფიცირებას და ინოვაციების გაცნობას ითვალისწინებდა. კონფერენციას დაესწრნენ გერმანიის, აშშ-ს, დანიის, ნიდერლანდების სამეფოს, უკრაინის და საფრანგეთის უცხოელი და უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმები.

2 დღიანი კონფერენცია თემატური სესიებით იყო დაყოფილი, სადაც დელეგატები ევროპის და ამერიკის წამყვანი კლინიკებიდან საუბრობდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გინეკოლოგიური ონკოლოგია, თავის და კისრის ონკოლოგია, ნეიროვასკულარული დაავადებები, ინფექციური დაავადებები, ტრავმატოლოგია-ორთოპედია და სარძევე ჯირკვლის ონკოლოგია.

ასევე, სესიის მეორე დღეს ერთ-ერთი სესია დაეთმო სამედიცინოს სტუდენტებს და რეზიდენტებს, სადაც განხილული იყო არსებული პერსპექტივები და შესაძლებლობები სამედიცინო კარიერაში. კონფერენციაზე დასასწრებად თბილისში ევროპაში მოღვაწე ქართველი ექიმებიც ჩამოვიდნენ და კოლეგებს საკუთარი კლინიკური და სამეცნიერო გამოცდილება გაუზიარეს. საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვის ასოციაციაში (GIMPHA) გაერთიანებული უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების ინიციატივით და ორგანიზებით მიმდინარეობს, ერთ-ერთი მათგანი ჰოლანდიაში მოღვაწე ქართველი ექიმი პათოლოგ-ანატომი ალექსი ბაიდოშვილია, რომელიც უკვე მეხუთე წელია ხელმძღვანელობს აღნიშნულ კონფერენციას.

საქართველოს კულტურის დღე ქ. ნიკოლაევში

19 მაისს, უკრაინაში, ნიკოლაევის ოლქში, ქართული ნაციონალურ-კულტურული გაერთიანების „იბერიას“ მიერ, მისი თავჯდომარის ვალერი ეხვაიას ხელმძღვანელობით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გაიმართა „საქართველოს კულტურის დღე“, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. ნიკოლაევის საოლქო კულტურის სასახლეში სრული ანშლაგით ჩატარდა უკრაინის ხალხური მხატვრული კოლექტივის ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის „საქართველოს“ და ნიკოლაევის საცეკვაო ანსამბლის „თამარიონის“ საზეიმო კონცერტი.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ღონისძიების საზეიმო გახსნაზე, ქ. ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ასევე, უკრაინის ეროვნულმა დეპუტატმა ალექსანდრ ჟოლობეცკიმ, რომელიც კონცერტზე იმყოფებოდა საპატიო სტუმრის სტატუსით. ღონისძიებას ესწრებოდა ხერსონის ოლქში ქართული ნაციონალურ-კულტურული გაერთიანების „ილორი“ თავჯდომარე ელიკო მარკელია.

„საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და სერ ოლივერ უორდროპის მემკვიდრეობა“

19 მაისს, დიდ ბრიტანეთში, სევენოუკში, 1919-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი კომისრის, სერ ოლივერ უორდროპის სახლში გაიმართა კონფერენცია - „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და სერ ოლივერ უორდროპის მემკვიდრეობა“. პროექტი სახლის ამჟამინდელი მფლობელის, პერ რიფ-მასგრეივის კეთილი ნებითა და ხელშეწყობით შედგა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო დიდ ბრიტანეთში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი ქალბატონი ცირა კემულარია. პროექტი ლონდონში საქართველოს საელჩოსა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა სხვა სპონსორთან და მხარდამჭერთან ერთად. კონფერენციაზე მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ოლივერ უორდროპის შთამომავლები, საქართველოთი დაინტერესებული ბრიტანული აკადემიური და კულტურული წრეების წარმომადგენლები, დიასპორის წარმომადგენლები, ღონისძიების მხარდამჭერები და სპონოსრები.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი და ბრიტანელი მეცნიერები და მწერლები. მათი გამოსვლები ეხებოდა როგორც უორდროპების, ისე სხვა ცნობილი ევროპელი მეცნიერების ღვაწლს ქართული კულტურისა და ლიტერატურის წარმოჩენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერაში. ღონისძიებაზე, თიბისი ბანკის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნის „Georgia: A Cultural History through the Wardrop Collection“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ბოდლეის ბიბლიოთეკაში დაცულ უორდროპების კოლექციას ეფუძნება.



წიგნის ავტორია ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი ნიკოლოზ ალექსიძე. პროგრამა გარდა სამეცნიერო ხასიათის პრეზენტაციებისა, ასევე მოიცავდა ქართული კულტურის ელემენტებს. შედგა „ვეფხისტყაოსნიდან“ მხატვრულად წაკითხული ცალკეული ამონარიდების ჩანაწერის ჩვენება, რომელიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გაკეთდა ცნობილი ქართველი მწერლის დათო ტურაშვილისა და მსახიობის თამარ ბზიავას მონაწილეობით. ასევე, ლონდონის პირველი ქართული სკოლის მოსწავლეებმა ლიზი კუხალეიშვილმა და ანრი კიკავამ წაიკითხეს

ფრაგმენტები მარჯორი უორდროპისა და ილია ჭავჭავაძის მიმოწერიდან. „ვეფხისტყაოსანზე“ დაფუძნებული არია შეასრულა ესპანეთში მოღვაწე ქართველმა მეცოსოპრანო ლალი ჭილაიამ, რომელსაც მუსიკალური აკომპანიმენტი გაუწია ბათუმელმა პიანისტმა იური ანანიევმა. უორდროპების სახლის ბაღის ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო მათ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გამოფენა. ღონისძიება დახურეს გაერთიანებული სამეფოს ელჩმა საქართველოში ჯასტინ მაკენზი-სმიტმა და ლონდონის კორთოლდის ინსტიტუტის დეკანმა ანტონი ისტმონტმა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი, რომელში შემოსული თანხაც მთლიანად მოხმარდება საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ქართულიდან ინგლისურად თარგმნას და გაერთიანებულ სამეფოში გამოცემას.

ქართული კულტურის IX ფესტივალი

19 მაისს, ქ. კიევში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ მონაწილეობა მიიღო უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელისა“ და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ ორგანიზებით გამართულ ქართული კულტურის IX ფესტივალში.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ტრადიციული ფესტივალი წელს განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლის დაარსების მე-100 წლისთავსა და საქართველო-უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერობების დამყარების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ქართული კულტურის ფესტივალი სოციალურ-კულტურული პროექტია, რომელიც საქართველო-უკრაინას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ ქ. კიევში მოქმედი ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „იბერიელი“ და კიევის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის ფოლკლორული კოლექტივები. ასევე, საგანგებოდ მოწვეული სტუმრები საქართველოდან - ჯგუფი „ურსა“. ღონისძიების საზეიმო გახსნაზე დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. ფესტივალი გაიმართა უკრაინისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების, უკრაინაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით.

გერმანიის ქართული სათვისტომოს საქალაქთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში

20 მაისს, გერმანიის ქართული სათვისტომოს რიგით მერვე ყოველწლიური საქალაქთაშორისო ტურნირი გაიმართა. წლევანდელ ტურნირს ქალაქი კაიზერსლაუტერნი მასპინძლობდა. მინი-ფეხბურთის ტურნირში სათვისტომოს თასის მოსაპოვებლად სხვადასხვა ქალაქიდან ჩასული 14 ქართული გუნდი ასპარეზობდა. მათ შორის იყვნენ განსაკუთრებული მონაწილეები, გერმანიაში საწვრთნელ ბაზაზე მყოფი ქართველი სამხედროების სახით.

შარშან მოპოვებული თასის შენარჩუნება ისევ შეძლო “სკ იბერიამ“ (ცვაიბრუკენი) და უკვე მეორედ გახდა პირველი ადგილის მფლობელი. მეორე ადგილი მიუნხენის გუნდს „კოლხას“ ერგო, ხოლო მესამე ადგილი ჯარისკაცების გუნდმა, „ეგრისი-გეომ“ მოიპოვა. საუკეთესო ბომბარდირის წოდება პირველი ადგილის მფობელი გუნდის, ცვაიბრუკენის მოთამაშეს, ლაშა ცხადაძეს ერგო, საუკეთესო მეკარე კი ამავე გუნდის წევრი, გელა გაბელია გახდა. გუნდები ტრადიციულად დაჯილდოვდნენ სიგელებით. გარდა ამისა რესტორანმა „ივერიამ“ ფულადი პრიზები გადასცა პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს, ისევე როგორც საუკეთესო ფეხბურთელს და მეკარეს.

უკრაინის სახალხო ანსამბლ ,,იბერიას“ სოლო კონცერტი

20 მაისს, ქ. კიევში, ქართულ კულტურულ-საგანამანთლებლო ცენტრთან არსებული უკრაინის სახალხო ანსამბლ - ,,იბერიას“ (ხელმძღვანელი მანანა სულაქველიძე) სოლო კონცერტი გაიმართა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიების საზეიმო გახსნაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა რატი ბრეგაძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ქართული დიასპორის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქველმოქმედო აქცია-კონცერტი ქართველი ემიგრანტებისათვის ქ. ათენში

20 მაისს, ქ. ათენის ისტორიულ კინო-თეატრში „ალკიონის“, გაიმართა საქველმოქმედო აქცია-კონცერტი ქართველი ემიგრანტებისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალი მაგდა ნიკოლეიშვილი და ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასიის“ ვოკალური ანსამბლი, ასევე, ახალგაზდა სოლისტები ლიკა მაჩიტიძე, გიორგი როხვაძე და მამუკა ინაძე. საქართველოდან სპეციალური მიწვევით ჩასულმა მაგდა ნიკოლეიშვილმა 17, 18 და 19 მაისის, ჩაატარა გაკვეთილები და მასტერ-კლასები მეორე თაობის ქართველი ემიგრანტებისთვის. აღსანიშნავია, რომ როგორც მუსიკალური მასტერ-კლასები, ისე საქველმოქმედო საღამო, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ "კავკასიის" მხარდაჭერით ჩატარდა.

საზეიმო მიღება ქ. სტრასბურგში ქართული ჰანგების ფონზე

22 მაისს, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპის საბჭოს ოფიციალური პირები და ორგანიზაციასთან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი გივიაშვილმა. ღონისძიებაზე სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა და საფრანგეთში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მიშელ მუსხელის (მიხეილ მუსხელიშვილი) საქმიანობის შესახებ სპეციალურად გამოცემულ ბროშურას. საზეიმო მიღებაზე სიმღერით წარსდგა ქალაქ სტრასბურგში წმიდა ქეთევან წამებულის ეკლესიასთან არსებული საბავშვო მუსიკალური გუნდი „სადარისი“.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „საქართველოს“ საზეიმო კონცერტი ქ. ოდესაში

22 მაისს, ქ. ოდესაში, ჩატარდა უკრაინის ხალხური მხატვრული კოლექტივის ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „საქართველოს“ საზეიმო კონცერტი, რომელიც ეძღვნებოდა ანსამბლის 17 წლის იუბილეს და საქართველოს პირველ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის იუბილეს. კონცერტის გახსნით ცერემონიალზე სიტყვით გამოვიდნენ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი აკაკი იაკობიშვილი და ქორეოგრაფი ირმა ხუციძე. კონცერტზე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქ. ოდესაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა.

„გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენება კინო-თეატრ „Cine Aigli”-ში

23 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლის ფარგლებში, საბერძნეთის რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ათენის პრესტიჟულ კინო-თეატრში „Cine Aigli“ გაიმართა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის, მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, ქართული მხატვრული ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ არაკომერციული ჩვენება, რომელსაც ბერძნული სამთავრობო სტრუქტურების, კულტურის სფეროს, ათენში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენელები დაესწრნენ.

საზეიმო მიღება ქ. ბარსელონაში

24 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. ბარსელონაში საქართველოს საკონსულომ გამართა საზეიმო მიღება, რომელსაც დაესწრნენ ბარსელონაში აკრედიტებული საკონსულო კორპუსის, სახელმწიფო სტრუქტურების, ბიზნესის, სამეცნიერო წრეების, კულტურის სფეროსა და საქართველოს სათვისტომოს წარმომადგენლები. ღონისძიებაზე სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს კონსულმა ქეთევან გოგოლაშვილმა,

რომელმაც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მნიშვნელობასა და მისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში განხორციელებულ პროგრესზე ისაუბრა. საზეიმო წვეულებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ბარსელონაში არსებული დიასპორული ორგანიზაციების „წმ. გიორგის სახ. მართლმადიდებლური ასოციაციისა“ და ასოციაცია „ევროჯორჯია - ბარსელონას“ წარმომადგენლებმა, რომლებმაც სტუმრებს გააცნეს მრავალფეროვანი ქართული კულტურა.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საზეიმო ცერემონია ქ. ოტავას მერიასთან

25 მაისს, ოტავას მერიის წინ, საზეიმოდ აღიმართა საქართველოს სახელმწიფო დროშა. დროშის აღმართვის ცერემონიას დაესწრნენ ქ. ოტავას მერი, მერიის წარმომადგენლები, კანადის დედაქალაქში მცხოვრები ქართველები. დამსწრეებს სიტყვით მიმართა კანადაში საქართველოს ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ. მან ისაუბრა საქართველოს უახლეს ისტორიაზე, პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების პოლიტიკურ წინაპირობებზე, დამოუკიდებლობის წლებში მიღწეულ პროგრესზე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაზე და, ასევე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი კანადის ურყევ მხარდაჭერაზე. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ქართული დროშა აღმართეს ოტავაში მცხოვრებმა ქართველმა ბავშვებმა. ცერემონიის შემდეგ, მოწვეული სტუმრებისთვის საელჩომ გამართა საზეიმო მიღება.

დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ქ. ნიქოზიაში

25 მაისს, კვიპროსში, ქ. ნიქოზიის სატირის თეატრში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე და დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. საღამო ჩატარდა ქართველთა სათვისტომოს ,,ძალა ერთობაშია“ ორგანიზებით (თავმჯდომარე მევლუდ ყაფლანიშვილი) და კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით. სპეციალურად ამ დღისთვის, აჭარის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ინგა შამილიშვილის ხელშეწყობით, ბათუმიდან ჩამოვიდა აჭარის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის ვაჟთა ფოლკლორული გუნდი ,,იბერიონი”, მათთან ერთად კონცერტში მონაწილეობდა ემიგრანტ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,იმედი”. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში რევაზ ლომინაძე, კონსული თინათინ ნონიაშვილი, აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი თამარ მესხიძე, აგრეთვე სტუმრები კვიპროსის გამგეობებიდან და პარლამენტიდან. საღამოს დასასრულს, ქ. ნიქოზიის დავით აღმაშენებლის სახელობის საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა, ბათუმის ,,იბერიონელებთან" ერთად, შეასრულეს ქართული სიმღერა ,,ჩემი საქართველო აქ არის".

საზეიმო მიღება ტორონტოში ქართველი ემიგრანტი პედაგოგებისათვის

26 მაისს, კანადაში საქართველოს ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ ტორონტოში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი პედაგოგებისთვის გამართა მიღება, რომლის ფარგლებშიც სამახსოვრო საჩუქრები და საელჩოს სიგელები გადასცა ტორონტოს ქართული ბაგა ბაღის აღმზრდელებს, ასევე, იმ მასწავლებლებს, რომლებიც კანადაში ჩასვლამდე საქართველოში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ. დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ ტორონტოს ქართველ ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები და ტორონტოს ქართული დიასპორული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი. ელჩმა გამართა პრეზენტაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ, ხოლო ტორონტოს ქართული საბავშვო ბაღის დირექტორს საჩუქრად გადაეცა საბავშვო წიგნები და სასწავლო მასალები.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველ სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, 25 მაისს, ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩიუსმა მიიღო ქართველი სტუდენტები, რომლებიც ლიტვის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ. მინისტრმა სტუდენტებს მიულოცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან ასი წლისთავი და ხაზი გაუსვა ლიტვის მხარდაჭერას საქართველოსადმი.

აღსანიშნავია, რომ ქართველ სტუდენტთა უმრავლესობას გავლილი აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრის კურსი, სადაც ისინი ეუფლებიან ლიტვურ ენას და ეცნობიან ლიტვურ კულტურას, ხოლო შემდეგ საკუთარ ცოდნას აღრმავებენ ლიეტუვას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ლიეტუვას მხარის მიერ დაფინანსებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით. მინისტრთან შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებმა გამოხატეს მადლიერება იმ შესაძლებლობებისათვის, რომლებსაც ლიტვის სახელმწიფო სთავაზობს ქართველ ახალგაზრდებს.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის აღნიშვნა ქ. მინსკში

26 მაისს, მინსკში, ძველი ქალაქის ტურისტულ ტერიტორიაზე „ტროიცკოე პრედმესტიე“ საელჩოს თანამშრომლებისა და დიასპორის წარმომადგენლების მიერ ჩატარდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ირაკლი კვანჭახაძემ, ანსამბლმა „თორანი“ შეასრულა საქართველოს ჰიმნი და ქართული სიმღერები. მინსკის ცენტრალურ გამზირზე, სასტუმრო „ჰილტონის“ ტერიტორიაზე მდებარე ეკრანზე გამოსახულ იქნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავის ლოგო.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ესტონეთში „ქართულმა სახლმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმოდ აღნიშნა

26 მაისს, ესტონეთში ქართულმა დიასპორულმა ასოციაციამ "ქართული სახლი" იზეიმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავი. საზეიმო ღონისძიება ჩატარდა ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, ესტონეთის კულტურის სამინისტროსა და ინტეგრაციული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. საზეიმო საღამო სიმბოლურად დაიწყო 17.10 საათზე, იმ დროს, როდესაც 100 წლის წინ იქნა მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ესტონეთში მცხოვრებ ქართველებს ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული დღესასწაული მიულოცა დიასპორული ასოციაციის თავმჯდომარემ, ზაზა წერეთელმა. დარბაზში მყოფ ესტონეთში მცხოვრებ ქართველებს ეს დიდი დღესასწული მიულოცეს ლიეტუვის, ლატვიის და უკრაინის სათვისტომოების თავმჯდომარეებმაც.

ღონისძიება გაიხსნა საქართველოსა და ეტონეთის ეროვნული ჰიმნებით, რომელიც საქართველოდან მიწვეულმა ქედის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა "ელესამ" შეასრულა. დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას თავიანთი შემოქმედება გააცნეს ესტონელმა, მოლდაველმა და უკრაინელმა მოცეკვავეებმა და მომღერლებმა. ქართული ცეკვები შეასრულეს ქართული სათვისტომოს საკვირაო სკოლა "მზიურის" ბავშვებმა. საღამო დაასრულდა "ცეკვა ქართულით", რომლის ქალის პარტიასაც პანამელი მოცეკვავე ქალბატონი ასრულებდა. კონცერტის შემდეგ გაიმართა საზეიმო მიღება.

დღეისათვის ესტონეთში დაახლოებით 500-მდე ქართველი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი გაერთიანებულია ესტონეთის რესპუბლიკაში არსებულ დიასპორულ ასოციაციაში "ქართული სახლი". ასოციაციაში შედის 5 ქართული სათვისტომო ორგანიზაციია და საკვირაო სკოლა "მზიური". ასოციაციის წევრები არიან არა მარტო ტალინში, არამედ ესტონეთის სხვა რეგიონებში მცხოვრები ქართველებიც. ასოციაციის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ჩვენი თანამემამულეების გაერთიანებას და მომავალ თაობაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ქ. ლონდონში საქართველოს საელჩომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე თანამემამულეებთან ერთად აღნიშნა

26 მაისს, ქ. ლონდონში, საქართველოს საელჩომ დამოუკიდებლობის დღე და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე თანამემამულეებთან ერთად აღნიშნა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, თამარ ბერუჩაშვილმა. თავის სიტყვაში ელჩმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობაზე და მისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში განხორციელებულ მიღწევებზე ისაუბრა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამდროვე ქართულ სახელმწიფოს.
თავის მისასალმებელ სიტყვაში, სახელმწიფო მინისტრმა სერ ალან დანკანმა, ბრიტანეთის მთავრობის სახელით, ქართულ მხარეს მიულოცა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე.

კულტურული პროგრამა წარმოადგინა ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა, ლონდონის მაცხოვრის შობის სახელობის ქართული საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა, ქართულმა ცეკვის ანსამბლმა „ფესვები“, სამხატვრო სტუდიამ „გონიერი“ და ბრიტანულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მასპინძელი“.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თეონა მოსიას კონცერტი ვენაში

26 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ქალაქ ვენაში, ქართველი მომღერლის, თეონა მოსიას ქართული ჯაზის საღამო გაიმართა. საღამოზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები ჯაზური არანჟირებით.

ქართველი ჯაზ მომღერალი თეონა მოსია 12 წელია ავსტრიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მის შემოქმედებაში დიდი ნაწილი ეთნო-ჯაზურ კომპოზიციებს ეთმობა. ჯაზვოკალისტი ბავშობიდან მღერის, უკრავს ბას გიტარასა და ფორტეპიანოზე. მუსიკალური განათლება თეონა მოსიამ ავსტრიაში მიიღო. მან 2014 წელს დაამთავრა პრაინერის კონსერვატორიის ჯაზვოკალისტის ფაკულტეტი. მუსიკოსი და ვოკალისტი მეგრულის გარდა, ქართულ, ინგლისურ და გერმანულენოვან სიმღერებს ასრულებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე პენსილვანიაში

26 მაისს, წმინდა გიორგის ქართულმა მართლმადიდებელმა სამრევლომ პენსილვანიის შტატში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსის მეუფე საბას კურთხევით, აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

დილის 7:00 საათზე დაიწყო ცისკრის მსახურება, და წმ. იოანე ოქროპირის წირვა. წირვის შემდგომ, დილის 10:30-საათზე შესრულდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი. მსახურება აღასრულა ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსმა მეუფე საბამ.

დღის 12:00 საათზე სამრევლო შეიკრიბა ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმთან, საიდანაც დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი მსვლელობა და პატივი მიაგეს საქართველოს სახელმწიფო დროშას.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება ქ. დნიპროში

26 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილესადმი და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ჩატარდა ქ. დნიპროს საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ქართული სულის" ორგანიზებით, ალექსანდრე პეტროვსკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "სოლოდარობის" მხარდაჭერით. საზეიმო ღონისძიებაზე საკონცერტო პროგრამები წარმოადგინეს ქ. დნიპროში მოღვაწე ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა "რიონმა" (ხელმძღვანელი მარინა ღუღუნიშვილი) და სპეციალური სტუმრის სახით საქართველოდან მოწვეულმა ეთნო ჯგუფმა "ბანმა".

ღონისძიების საზეიმო გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქ. დონეცკში საქართველოს კონსულმა (რეზიდენციით ქ. კიევი) ირაკლი ადვაძემ, საზოგადოება "ქართული სულის" ხელმძღვანელმა გიორგი ადამაძემ, ქ. დნიპროს ვიცე-მერმა ალექსანდრე შიკულენკომ, საქველმოქმედო ფონდ "სოლოდარობის" ვიცე-პრეზიდენტმა იანა ივანილოვამ და დნეპროპეტროვსკის ეპარქიის მეუფემ სიმეონმა.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე ქ. ფუაში

26 მაისს, ქალაქ ფუაში, ბარსელონას "წმიდა ნინოს" სახელობის და ტულუზის "წმიდა ნინოს" სახელობის სამრევლოს წევრებმა საზეიმოდ აღნიშნეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე. შესრულდა წირვა, შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სულების მოსახსენებლად, საღამოს კი გაიმართა კულტურული ღონისძიება.
აღნიშნულ საღამოზე მონაწილეობდნენ: "წმიდა ნიკოლოზის" სახელობის ქართულ ასოციაციასთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ფესვები", ბარსელონის წმიდა გიორგის სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ასოციაციასთან არსებული მუსიკალური სტუდია „გამა", (სიმღერები შეასრულეს ქართულ, ესპანურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე) - ხელმძღვანელი მაია გუბელაძე, გალობისა და სიმღერის ანსამბლის „ბეთანიას" ხელმძღვანელი მაია გუბელაძე, ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის „იბერიონის" - ხელმძღვანელი ანა ლობჟანიძე, ქართული ხალხური ცეკვის სტუდია „ქართველოს" - ხელმძღვანელი გიორგი ზირაქაშვილი, ფრანგების ფოლკლორული ანსამბლი „პატარა გული" და ბორდოს ოპერის სოლისტი. კონცერტს ესწრებოდნენ ფრანგი და ქართველი მაყურებლები, აგრეთვე - ტელევიზიის, რადიოს და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები.

დაღუპულთა ხსოვნის პანაშვიდი ქ. პრაღაში

26 მაისს, ქ. პრაღაში, ჩეხეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზაალ გოგსაძემ, ქართული დიასპორის თავმჯდომარემ მადინა ბოკერია-კრიჟოვამ და სამხედრო ატაშემ, პოლკოვნიკმა გ. ტატიშვილმა, მოინახულეს ძმათა სასაფლაოზე ქართველ ჯარისკაცთა საფლავები, სადაც მამა იოსებმა აღავლინა დაღუპულთა ხსოვნის პანაშვიდი.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული კინოს კვირეული მოსკოვში

26 მაისს, ქ. მოსკოვში, რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მოსკოვის ქართული ნაციონალურ-კულტურული ავტონომია (მოსკოვის სათვისტომო)“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის კინოდარბაზში გაიხსნა ახალი ქართული კინოს კვირეული, რომელიც მიეძღვნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების და დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს. ფილმები შეირჩა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც დიასპორის წარმომადგენლები, ასევე კინოს მოყვარულები. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ტრეტიაკოვის გალერეის გენერალური დირექტორის მოადგილემ მარინა ელზესერმა და გიორგი ზაქარაშვილმა, რომელმაც თანამემამულეებს მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და გამოთქვა იმედი, რომ მორიგი დღესასწაულები აღინიშნება როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში. სტუმრებს, ასევე, დღესასწაული მიულოცა მოსკოვის სათვისტომოს პრეზიდენტმა თეიმურაზ სტურუამ და ვიცე-პრეზიდენტმა როინ კონჯარიამ, რომელიც კინოს კვირეულის ჩატარების იდეის ავტორია. გამოსვლების დასასრულს, გაიმართა მცირე კონცერტი და შედგა ფილმის „გაყინული შადრევნების წელიწადი“ ჩვენება. ფილმი წარადგინა მისმა ავტორმა, რეჟისორმა ვანო ბურდულმა.

„ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“

27 მაისს, ქართული დიასპორის დღესთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა დიასპორის ფორუმი სახელწოდებით: **„ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის“.**

ფორუმის მიზანს წარმოადგენდა:

- ✓ კონტაქტების გაღრმავება ჩვენს თანამემამულეებთან, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, ბიზნესის თუ მედიის სფეროში ეწევიან პროფესიულ საქმიანობას;
- ✓ მათთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე;
- ✓ მათი დაკავშირება საქართველოს სახელმწიფო ინტიტუტებთან, კერძო და სამოქალაქო სექტორთან;
- ✓ უცხოეთში მიღებული პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;
- ✓ მათ მიერ უშუალო კონტაქტების დამყარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში მოღვაწე პროფესიონალებთან.
- ✓ სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად;

გახსნითი სხდომის შემდეგ ფორუმის მონაწილეებმა საქმიანობა განაგრძეს თემატურ სამუშაო ჯგუფებში, რომლებშიც ისინი პროფესიული ნიშნითა და ინტერესთა შესაბამისად გაერთიანდნენ.

დიასპორული ფორუმის ფარგლებში ფუნქციონირებდა შემდეგი სამუშაო ჯგუფები: ბიზნესის და ეკონომიკის სამუშაო ჯგუფი, მედიის და სახალხო დიპლომატიის სამუშაო ჯგუფი, განათლების სამუშაო ჯგუფი და კულტურის სამუშაო ჯგუფი.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორული ფორუმის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა მჭიდრო კონტაქტებსა და თანამშრომლობას ქართულ დიასპორასა და საქართველოში მოღვაწე პროფესიონალთა შორის ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა:

- ✓ საქართველოში მიმდინარე პროცესებში დიასპორის ეფექტური, მასშტაბური და მდგრადი ჩართულობა და დიასპორის პროფესიული პოტენციალის სამშობლოს სასიკეთოდ მიმართვა;
- ✓ ერთობლივი ღონისძიებების გატარება ამა თუ იმ პროფესიულ სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ;
- ✓ დიასპორის აქტიური მონაწილეობა მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებში;
- ✓ ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და სამომავლო სტრატეგიული გეგმების დასახვა;
- ✓ მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს მხარდაჭერის მიზნით ლობისტური ჯგუფების შექმნა ქართულ დიასპორებში;
- ✓ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება;

დიასპორის ფორუმის გახსნა

დიასპორის ფორუმის გახსნით ცერემონიალს სასტუმრო „ბილტმორში“ მასპინძლობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები და საპატიო სტუმრები. ღონისძიების გახსნის ცერემონიალზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინიტრმა მიხეილ ჯანელიძემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ დიასპორის ფორუმს ესწრებოდა საპატიო სტუმარი - რეჯებ ჟორდანია, ნოე ჟორდანიას შვილი. საპატიო სტუმარმა სიტყვით მიმართა თანამემამულეებს და მიულოცა მათ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლისთავი. ფორუმზე მიწვეულმა სტუმრებმა იმუშავეს პროფესიული ნიშნისა და ინტერესების შესაბამის თემატურ ჯგუფებში, სადაც განიხილეს შემდეგი საკითხები: დიასპორის როლი სახალხო დიპლომატიასა და მედიაში, დიასპორა და ეკონომიკა, თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების საკითხებში, ასევე, კულტურის სფეროს პრობლემატიკა. თემატურ ჯგუფებში გაიმართა დისკუსიები, ხოლო მუშაობის პროცესში გამოკვეთილი მოსაზრებები შემდგომში ასახვას ჰპოვებს იმ ცალკეული ღონისძიებების, პროგრამებსა თუ პროექტების დაგეგმვაში, რომლებიც სახელმწიფოს ინიციატივითა და მხადაჭერით განხორციელდება.

თემატური ჯგუფების შეხვედრების ფარგლებში, თითოეულ ჯგუფში, მიმდინარეობდა პრეზენტაციები და დისკუსია, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, საჯარო მოხელეები. დღის ბოლოს, ჯგუფების მოდერატორებმა შეაჯამეს შეხვედრების შედეგები და მოისმინეს რეკომენდაციები სხვადასხვა თემატიკაზე.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თანამემამულეების შეხვედრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან

27 მაისს, ფორუმის ფარგლებში, დიასპორის წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. შეხვედრა შედგა სამების საკათედრო ტაძარში, სადაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე ატარებდა წირვას სულთმოფენობის დღესასწაულთან დაკავშირებით. თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქმა დალოცა თანამემამულეები და დამსწრე საზოგადოება.

ოფიციალური მიღება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონი მიხეილ ჯანელიძის სახელით

27 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის სახელით, გაიმართა ოფიციალური მიღება რესტორან „ფუნიკულიორში“. მინისტრმა სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს და ისაუბრა საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებზე, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ღვაწლსა და თანამშრომლობის გაღრმავების პროცესებზე.

28 მაისი

28 მაისს, დიასპორის ფორუმის ფარგლებში, გაგრძელდა პრეზენტაციები თემატურ ჯგუფებში. შეხვედრები წარიმართა აქტიური დისკუსიის ფონზე, სადაც თითოეულ მონაწილეს მიეცა საშუალება მკაფიოდ დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დისკუსიის შემდგომ, გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც განიხილეს არსებითი პრობლემები და მათი გადაჭრის სტრატეგიული გეგმები. იმავე დღეს, ფორუმის მონაწილეებმა, სოფელ კოჯორში გვირგვინით შეამკეს იუნკერთა მემორიალი.

საოკუპაციო ხაზის მონახულება

28 მაისს, დიასპორული ფორუმის მონაწილეები გაემგზავრნენ სოფელ ოძისში, სადაც მოინახულეს საოკუპაციო ხაზი. ფორუმის მონაწილეები ადგილზე გაეცნენ საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან აღმართული ბარიერების გამო სოფელში არსებულ ვითარებას. სტუმრებს ადგილზე დახვდნენ ექსპერტები, რომლებმაც დეტალურად ისაუბრეს ოკუპაციის პრობლემატიკასა და ისტორიაზე.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული კარატე ფილადელფიაში

მსოფლიოს პრიზიორებმა - გიორგი ელიზბარაშვილმა და მამუკა გელაძემ, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოს მეუფე საბას მხარდაჭერით, კარატეს კლუბი „Philly Karate Club“ გახსნეს. კლუბი უკვე ამერიკის ნაციონალური კარატე ფედერაციის წევრია, რაც საშუალებას აძლევს სპორტსმენებს მონაწილეობა მიიღონ, როგორც ამერიკის, ისე საერთაშორისო ჩემპიონატებში. ქართველ კარატისტებს დიდი მხარდაჭერა აქვთ ამერიკის ტრადიციული კარატეს პრეზიდენტის, შიხან ნელსონ ალერსსის მხრიდანაც. ქართველ თანამემამულეებთან ერთად, კლუბში ამერიკელი ახალგაზრდებიც ვარჯიშობენ და მორიგი ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

28 მაისს, ქალაქ ფილადელფიაში, საერთაშორისო შეჯიბრი - “Philadelphia Open” ჩატარდა. ტურნირში როგორც ამერიკის ყველა შტატიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, 400-ზე მეტი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. "Philly Karate Club„ გიორგი ელიზბარაშვილის და მამუკა გელაძის ხელმძღვანელობით, წარდგენილი იყო 17 სპორტსმენით და მათ 12 მედალი მოიპოვეს: 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 7 ბრინჯაო. „Full Kontakt Karate“-ში კლუბის ღირსებას იცავდა ქართველი ოსტატი კობა ბუიშვილი, რომელმაც დამაჯერებლად ჩაატარა ბრძოლა და არავის დაუთმო ოქროს მედალი. 2017 წელს, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ოსტატებმა, საქართველოს, ევროპისა და

„საქართველოს პირველი რესპუბლიკის“ ფოტო-გამოფენა ქ. ოტავაში

29 მაისს, ოტავაში, პრესტიჟულ „ფეირმონტ შატო ლორიეში“ გაიმართა საზეიმო მიღება, რომელსაც დაესწრნენ კანადის მთავრობის წევრები, პარლამენტარები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, საზოგადოების ცნობილი წევრები, დიპლომატიური კორპუსი და კანადაში მცხოვრები თანამემამულეები. გაიმართა ფოტოგამოფენა „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. მისასალმებელ სიტყვაში ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე შეეხო პირველი რესპუბლიკის ისტორიას, დამოუკიდებლობის წლებში გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯებს,

დემოკრატიულ განვითარებას, ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციას, თავისუფლებისათვის ბრძოლის წლებს, ქვეყნის დღევანდელ ტრანსფორმაციას, მიმდინარე რეფორმებს და მიღწეულ პროგრესს, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, რუსეთთან ურთიერთობებს, ქვეყნის ევროატლანტიკურ და ევროპულ ინტეგრაციას, საქართველო-კანადის ორმხრივ ურთიერთობებს. სტუმრებს სიტყვით მიმართეს კანადის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ბობ ნოლტმა და კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის დირექტორატის გენერალურმა დირექტორმა ელისონ ლეკლერმა. მათ აღნიშნეს საქართველოს მიერ დემოკრატიული განვითარების კუთხით მიღწეული პროგრესი, ხაზი გაუსვეს კანადის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, არაღიარების პოლიტიკის, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ, ისაუბრეს ბოლო პერიოდში კანადასა და საქართველოს შორის ყველა სფეროში გააქტიურებულ თანამშრომლობაზე. საელჩო სტუმრებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდა.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ქართული თეატრალური დასის წარმოდგენა ქ. თესალონიკში

29-30 მაისს, თესალონიკის ქართულმა თეატრალურმა დასმა, თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ეგიდით, თეატრ „ანეტონში“ წარმოადგინა კომედია რაფიელ ერისთავის ვოდევილის მიხედვით - „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს.“ წარმოდგენები მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს. აღსანიშნავია, რომ 29 მაისს გაიმართა 2 ჩვენება ქართულ ენაზე, - ქართული დიასპორის წევრებისათვის, ხოლო 30 მაისს - ბერძნულ ენაზე, - ადგილობრივი ბერძენი მაყურებლისათვის. სპექტაკლებმა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ირლანდიაში საქართველოს საელჩომ განსაკუთრებული ღვაწლის მქონე დიასპორის წარმომადგენლები დააჯილდოვა

30 მაისს, ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილე მიულოცა ირლანდიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს.

საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა მადლობა გადაუხადა ირლანდიაში მცხოვრებ თანამემამულეებს იმ ღვაწლისა და დამსახურებისათვის, რაც მათ ქართულ დიასპორაზე ზრუნვის, ირლანდიაში ქართული კულტურის წარმოჩენის, ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და ქართული ენის სწავლების კუთხით მიუძღვით და მადლობის სიგელებით დააჯილდოვა დუბლინის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელმთავარი დავიდ ლონერგანი.

ამავე ეკლესიის მღვდელმსახური ნიკოლოზ მაისურაძე, დუბლინში მოქმედი ბავშვთა ქართული ვოკალური ანსამბლის „Mixed Melodies” ხელმძღვანელი ზიზი ნანობაშვილი-ლოფტუსი, ქართული საკვირაო სკოლის „ლამპარი“ დირექტორი ანელი აწკარუნაშვილი და სკოლის პედაგოგები - ეკა ფეიქრიშვილი, თამარ ჩიტიძე, ქეთევან ჯიღაური, ნუნუ ავგროზაშვილი და თეა ლიპარტელიანი. დაჯილდოების ცერემონია 30 მაისს, დუბლინის ერთ-ერთ მთავარ ისტორიულ ღირსშესანიშნაობაში - დუბლინის ციხე-სიმაგრეში გაიმართა, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების ფარგლებში.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საზეიმო მიღება ქ. მინსკში

30 მაისს, ქ. მინსკში, საქართველოს საელჩომ ჩაატარა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიღება, რომელსაც ბელარუსის ახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების, დიპლომატიური კორპუსის წევრების, ბიზნეს წრეების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების გარდა ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები. მიღებაზე, ქართულ ანსამბლ „შვიდკაცასთან ერთად“, საქართველოსა და ბელარუსის ეროვნული ჰიმნები შეასრულა ქართული დიასპორის წარმომადგენელმა, მომღერალმა ტარიელ მაისურაძემ.

ვენის ქართული და უკრაინული საკვირაო სკოლების ერთობლივი ქართულ-უკრაინული ღონისძიება

31 მაისს, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის იუბილისა და საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ვენის ქართული და უკრაინული საკვირაო სკოლების ერთობლივი ქართულ-უკრაინული ღონისძიება ჩატარდა.

ამ ორი მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, ორი მეგობარი ქვეყნის დიასპორებმა წარმოადგინეს ნაციონალური ხალხური სიმღერები, ცეკვები და ქართველი და უკრაინელი ხელოვანების ნამუშევრები. საღამო ქართული და უკრაინული კერძებისა და ღვინის დაგემოვნებით დასრულდა. ღონისძიებას ავსტრიაში საქართველოსა და უკრაინის საელჩოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბრაზილიის ფოსტამ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საიუბილეოდ ახალი საფოსტო მარკა გამოსცა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად ბრაზილიის ფოსტამ ახალი საფოსტო მარკა გამოსცა. მარკაზე გამოსახულია საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ქვევრი და განთავსებულია შემდეგი წარწერები: „საქართველო ღვინის აკვანი“ და „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილე“.

აღნიშნული მარკა ხელს შეუწყობს საქართველოს ცნობადობის ამაღლებას და საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს დამკვიდრებას არა მარტო ბრაზილიაში, არამედ პორტუგალიურენოვან სამყაროშიც. საქართველოსადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის გამოცემა ბრაზილიაში საქართველოს საელჩოს აქტიური მონაწილეობით გახდა შესაძლებელი.

მაისის დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დიასპორასთან ურთიერთობის

დეპარტამენტი

შ. ჩიტაძის ქ.4

თბილისი, 0118

ტელ:

(+995 32) 2945000

ფაქსი:

(+995 32) 2945001

ელ. ფოსტა

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia/

/MFAgovge

/janelidzeMkh

/MFA Geo

www.mfa.gov.ge